ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 26

12 დეკემბერი, 2023 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

14:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

დღის წესრიგი

1. თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
2. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, არჩილ ქურდიანის ქუჩისთვის არქიტექტორების არჩილ და გია ქურდიანების სახელის მინიჭების შესახებ
3. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გოჩა მაჩაიძის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქ.თბილისში,
5. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, აზეულას ქუჩის გაგრძელების შესახებ
6. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელის მინიჭების შესახებ
7. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის III შესახვევისთვის, გუჯარეთის II ქუჩისთვის, მელაანის I და II ჩიხისთვის პოლიტიკური მოღვაწის, რაჟდენ არსენიძის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიაზე, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, რევაზ მამისაშვილის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის რევაზ მამისაშვილის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ
10. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თმოგვის მეორე გასასვლელისთვის ახალგორის ქუჩის და ქართლის II შესახვევისთვის ახალგორის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, შანდორ პეტეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის შანდორ პეტეფის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, იულია ფაილობის ქუჩასთან მდებარე ოთხი უსახელო ჩიხისთვის იულია ფაილობის სახელის მინიჭების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი. მისი ინფორმაციით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ შესწავლილ იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მერის #12-032334259-03 წერილი), თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა პირველი წარდგენისას განისაზღვრა 1700,912.4 ათასი ლარით, ხოლო 8 დეკემბერს წარმოდგენილ გადამუშავებულ ვერსიაში მთლიანი მოცულობა გაზრდილია 62 442, 3 ათასი ლარით და შეადგენს 1 1 763 3 354,7 ათას ლარს. წარმოდგენილი პროექტი 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 632 132,6 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 131 222, 1 ათასი ლარით.

2024 წლის თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტით გადასახდელებისთვის გათვალისწინებულია 1,763,354,7 ათასი ლარი, ხოლო ნაშთის ცვლილება განისაზღვრება 0.0 ლარით. ბიუჯეტის პროექტის შემოსავლებსა და ხარჯრბს შორის სხვაობა (საოპერაციო სალდო) შეადგენს 278, 420.0 ათას ლარს, ხოლო სხვაობა საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის (მთლიანი სალდო) წარმოდგენილია 42,938.9 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით 2024 წლის თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი პროფიციტულადაა დაგეგმილი.

წარმოდგენილი პროექტით დაფინანსდება ყველა ის მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის მაცხოვრებელთა სოციალურ დაცვას, ჯანდაცვას, ეკონომიკურ განვითარებას, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება/გაუმჯობესებას, ტრანსპორტის განვითარებას, საგზაო ინფრასრუქტურის მოწესრიგებას, კომუნალური მეურნეობების განვითარებას, განათლებას, სპორტსა და კულტურას და ა.შ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ბიუჯეტის პროექტის დამუშავებისას ყურადღება გამახვილდა კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02.09.01.).

კომისიის მიერ შესწავლილ იქნა 02.09.01პროგრამული კოდი, რომელიც ქუჩების ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟისთვის გამოყოფილ თანხებს ეხება. ხსენებული სამუშაოებისთვის წარმოდგენილი პროექტით 500 000 ლარია გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში შენობა-ნაგებობებისა და გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი აბრების მონტაჟის კუთხით ქალაქში მნიშვნელოვანი პროგრესია. ყოველწლიურად, თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სამისამართო საკითხების მოგვარების მიზნით 500 000 ლარი იხარჯება.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წელს კონკურსის წესით შეირჩა ახალი დიზაინის სამისამართო აბრის ესკიზი. ხსენებული ესკიზით დამზადებული აბრების მონტაჟი 2016 წლიდან დაიწყო. სამუშაობის წარმოების პარალელურად, ყოველწლიურად იზრდება

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიისთვის მოქალაქეების მომართვა აბრების დამონტაჟების მოთხოვნით. გარდა მომართვიანობისა , ასევე მზარდია საკრებულოს მიერ გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე გამოცემული აქტების რაოდენობა, რასაც შემდგომ მოჰყვება სამისამართე აბრების განთავსება.

2023 წელს აბრების განთავსების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში ერთეული აბრის დამზადება/მონტაჟის ღირებულებამ 78 ლარი შეადგინა. წლის ბოლომდე აბრა დაახლოებით 5800 სამისამართო ერთეულზე განთვსდება, გამოყოფილი 500 000 ლარის ფარგლებში, რეაბილიტირებულ არეალებში 20 ერთეული განათებული მანიშნებელი აბრა დამონტაჟდა, რომლის დამზადების ღირებულებაც აღემატება სტანდარტული სამისამართო აბრის ფასს. 2023 წელს ხსენებული აბრების დამზადების ღირებულებამ 24 000 ლარი შეადგინა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველი ვერსიის წარდგენისას მნიშვნელოვნად მიიჩნევდა, რომ 2024 წლის განმავლობაში არ მომხდარიყო იმ სამისამართო ერთეულების რაოდენობის შემცირება, სადაც აბრები დამონტაჟდება, რაც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო, როგორც წლიდან წლამდე აბრისთვის საჭირო მასალის ფასისზრდით, ისე ახალი სახის განათებული აბრების რაოდენობის ცვალებადობით.

ქუჩაზე აბრების სისტემურ განახლებას წინ უსწრებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შენობა-ნაგებობების ნუმერაცია და ორთორუკების მომზადება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების განცხადებით, სამსახურს აქვს შესაძლებლობა წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზარდოს დანომრილი სამისამართო ერთეულების რაოდენობა. ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ მ/ წლის ნოემბრის თვეში წარმოდგენილი პროექტის მერიისთვის დაბრუნება და აბრების განთავსებისთვის გათვალისწინებული თანხების გაზრდა მოითხოვა. კომისიის მოსაზრების გათვალისწინებით კონსულტაციები გაიმართა მერიის შესაბამის სამსახურებთან და მიღწეულ იქნა შეთანხმება 02.09.01 პროგრამულ კოდში, საანგარიშო წლის განმავლობაში, რესურსების 600 000 ლარამდე ზრდასთან დაკავშირებით.

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი პასუხობს თბილისის წინაშე მდგარ ამოცანებს და მიზანშეწონილია მისი საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილვა. კომისიის წევრებმა დადებიღდ შეაფასეს აღნიშნული საკითხი.

მეორე საკითხი შეეხება დიდუბის რაიონში, არჩილ ქურდიანის ქუჩისთვის არქიტექტორების არჩილ და გია ქურდიანების სახელის მინიჭებას. თბილისში გია ქურდიანის მამის, არჩილ ქურდიანის სახელობის ქუჩა წლებია არსებობს დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის სახელობის საფეხბურთო მოედანთან, რომლის რეკონსტრუქციის პროექტზეც მამა-შვილი ქურდიანები ერთად მუშაობდნენ. ხსენებული გარემოების გათვალისწინებით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მამა-შვილის სახელობის ქუჩა ერთად არსებობდეს. სხდომის

თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს, რომელსაც კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მესამე საკითხის განხილვისას ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გოჩა მაჩაიძის სახელის მინიჭების შესახებ. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა გოჩა მაჩაიძის საბრძოლო მოკვლევა. იგი 1992 წლის სექტემბრიდან 1993 წლის სექტემბრის ჩათვლით ირიცხებოდა „ავღანელთა" ბატალიონის შემადგენლობაში და იბრძოდა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიის ერთიანობისა და მთლიანობისთვის. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

მეოთხე საკითხი შეეხება დიდუბის რაიონში, დისევის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ერთი ჩიხისთვის და ლუბლიანას ქუჩის მონაკვეთისთვის ბავშვთა ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი ჟვანიას სახელის მინიჭებას. გივი ჟვანია იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გივი ჟვანია იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ქირურგიის კათედრის გამგე, პედიატრიის ფაკულტეტის დეკანი. მის პროფესიულ მემკვიდრეობას მიეკუთვნება ბავშვთა ქირურგიის ეროვნული სკოლა, 150-მდე სამეცნიერო პუბლიკაცია, მონოგრაფიები, მეთოდური რეკომენდაციები, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც არის მისი სახელი, რომელსაც ღირსეულად ატარებს თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის საუნივერსიტეტო კლინიკა. კომისიამ აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

მეხუთე საკითხი შეეხება მთაწმინდის რაიონში აზეულას ქუჩის გაგრძელებას.

ასევე დადებითად გადაწყვიტა კომისიამ ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელის მინიჭების საკითხი. საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ 1976 წლის შედეგების მიხედვით დაამტკიცა სპორტსმენთა ათეული, სადაც თეიმურაზ კაკულია მეექვსე საუკეთესო სპორტმენად დასახელდა. მისი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ევროპის ოთხგზის ჩემპიონობა და ასევე არაერთი ჩემპიონის ტიტული. კომისიას მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ დედაქალაქში არსებობდეს თეიმურაზ კაკულიას სახელობის ქუჩა.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეშვიდე საკითხი, რომელიც შეეხება ისნის რაიონში, მელაანის III შესახვევისთვის, გუჯარეთის II ქუჩისთვის, მელაანის I და II ჩიხისთვის პოლიტიკური მოღვაწის, რაჟდენ არსენიძის სახელის მინიჭებას. რაჟდენ არსენიძე იყო პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია აღნიშნულ საკითხს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მერვე საკითხის თანახმად, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიაზე, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭება ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევის სახელი. ტერიტორიის შესწავლისას

აღმოჩნდა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის შესახვევს. კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხს.

ასევე სამგორის რაიონში, რევაზ მამისაშვილის ქუჩასთან მდებარე ორ უსახელო შესახვევს მიენიჭება რევაზ მამისაშვილის I და II შესახვევების სახელი.

მეათე საკითხი შეეხება ნაძალადევის რაიონში, თმოგვის მეორე გასასვლელისთვის ახალგორის ქუჩის და ქართლის II შესახვევისთვის ახალგორის I ჩიხის სახელის მინიჭებას.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო მეთერთმეტე საკითხი, რომელიც შეეხება ისნის რაიონში, შანდორ პეტეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის შანდორ პეტეფის I შესახვევის სახელის მინიჭებას.

მეთორმეტე საკითხით დაკორექტირდება გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ღების ქუჩის მონაკვეთი და მიენიჭება ჯვარის I შესახვევის სახელი. კომისიაში შემოსულია მოქალაქე ჯონბო კუპატაძის განცხადება, რომელიც ითხოვს მისამართის დაკორექტირებას. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საკადასტრო ერთეულს მისამართი მინიჭებული აქვს ღების ქუჩით, ღების ქუჩის ის მონაკვეთი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება მოქალაქის უძრავ ქონებას დაკავშირებული არაა ძირითად ქუჩასთან, მისამართამდე მისასვლელი ერთადერთი გზა მდებარეობს ჯვარის ქუჩასთან და მიზანშეწონილია მისი შესახვევად ჩამოყალიბება. კომისიამ დადებითად შეაფასა აღნიშნული ცვლილება.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეცამეტე საკითხი შეეხება ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, იულია ფაილოძის ქუჩასთან მდებარე ოთხი უსახელო ჩიხისთვის იულია ფაილოძის სახელის მინიჭებას. ტერიტორიის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტები ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს იულია ფაილოძის ქუჩის უსახელო ჩიხებს. კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს მეცამეტე საკითხს.

ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, წარმოდგენილი საკითხები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინიციატივებად დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე, რეგისტრაციიდან არაუადრეს 20 დღისა გაიმართება საჯარო განხილვა და ამის შემდგომ მოხდება საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე